

შეტყობინება მეხუთე

მივიღოთ მადლი მადლზე, რათა მადლი იყოს აყვანილი ტახტზე ჩვენში,
რაც საშუალებას მოგვცემს ვიმეფოთ სიცოცხლეში
და გაგხდეთ ღმერთის პოემა, ახალი იერუსალიმი,
როგორც საბოლოო და დასრულებული ნაწარმოები ღმერთის მადლისა
ღმერთის სახლმშენებლობაში

ადგილები წერილიდან: რომ. 5:17, 21; იოანე 1:16; ებრ. 4:16; დაბ. 6:8; გამოც. 22:21

I. ყოველდღიურად და ყოველ წუთს ჩვენ უნდა ვიყოთ ისინი, ვინც ღებულობს უფალს როგორც მადლს მადლზე, როგორც მადლის სიუხვეს, ჩვენი ტკობისათვის, რათა მადლი მეფობდეს ჩვენში, ნება მოგვცეს ჩვენ, რომ ვიმეფოთ სიცოცხლეში – იოანე 1:16; რომ. 5:17, 21:

- ა. „ასე რომ მივეახლოთ გაბედულად მადლის ტახტს, რათა მივიღოთ წყალობა და ვპოვოთ მადლი თანადროული დახმარებისათვის“ – ებრ. 4:16:
1. ტახტი, რომელზეც საუბარია აქ, – ეს, უდავოა, არის ღმერთის ტახტი, რომელიც არის ზეცაში (გამოცხ. 4:2); მთელი სამყაროსათვის ღმერთის ტახტი არის ძალაუფლების ტახტი (დან. 7:9; გამოცხ. 5:1), მაგრამ ჩვენთვის, მორწმუნეებისათვის, ის ხდება მადლის ტახტი, რომელსაც აღნიშნავდა დაფარვის თავსარქველი (მადლის ტახტი) წმიდათა წმიდაში (გამ. 25:17, 21; ფსალ. 80:1); ეს ტახტი არის ღმერთისა და კრავის ტახტი (გამოცხ. 22:1).
 2. როგორ შეგვიძლია, მივიდეთ ღმერთისა და კრავის, ქრისტეს, ტახტთან ზეცაში, როდესაც ჩვენ ჯერ კიდევ ვცხოვრობთ დედამიწაზე? საიდუმლო არის ის ჩვენს სულში, რომელზეც საუბარია ებრ. 4:12; სწორედ ეს ქრისტე, რომელიც ზის ტახტზე ზეცაში (რომ. 8:34), ახლა ასევე იმყოფება ჩვენში (მუხ. 10), ანუ ჩვენს სულში (2 ტიმ. 4:22), სადაც არის ღმერთის საცხოვრებელი (ეფეს. 2:22).
 3. ბეთელში, ღმერთის სახლში, ღმერთის საცხოვრებელში, არის ზეციური კარიბჭე, ქრისტე არის კიბე, რომელიც აერთიანებს დედამიწას და ზეცას და მოაქვს ზეცა დედამიწაზე (დაბ. 28:12-17; იოანე 1:51); ვინაიდან დღეს ჩვენი სული არის ღმერთის საცხოვრებელი ადგილი დედამიწაზე, ის წარმოადგენს ზეციურ კარიბჭეს, სადაც ქრისტე არის კიბე, რომელიც გვაერთიანებს ჩვენ, ადამიანებს დედამიწაზე, ზეცასთან და მოაქვს ზეცა ჩვენთან; ამიტომ ყოველთვის, როდესაც ჩვენ მივმართავთ ჩვენს სულს, ჩვენ შევდივართ ზეციურ კარიბჭეში, და ვეხებით მადლის ტახტს ზეცაში ქრისტეს, როგორც ზეციური კიბის მეშვეობით.
- ბ. თვითონ უფალი არის დიდების ტახტი და მადლის ტახტი (ესაია 22:23; ებრ. 4:16); როდესაც ჩვენ ნებას ვაძლევთ მადლს, იმეფოს ჩვენში, მადლი ადის ტახტზე ჩვენში როგორც ღმერთის მმართველი თანდასწრება ჩვენი

ტკბობისათვის (ეზექ. 1:22, 26), რათა ჩვენ ვიმეფოთ სიცოცხლეში (რომ. 5:17, 21).

II. მთავარი მიზანი დაბადების წიგნში ნათქვამისა არის გვაჩვენოს არა დაცემა, არამედ ის, თუ რამდენის გაკეთება შეუძლია ღმერთის მადლს დაცემული ადამიანებისათვის:

- ა. ღმერთმა აჩვენა ნოეს ჭეშმარიტი ვითარება გახრწნილი საუკუნისა, რომელშიც ის ცხოვრობდა – დაბ. 6:3, 5, 11, 13; მათე 24:37-39; 2 ტიმ. 3:1-3:
 1. ადამიანი საბოლოოდ დაეცა იმ დონეზე, რომ გახდა მთლიანად ხორცი (დაბ. 6:3); ჩვენი ხორცი არის ყველაზე ძლიერი და ყველაზე მანკიერი მტერი ღმერთისა; ღმერთს სძულს ის მთელი თავისი არსებით.
 2. ძველ აღთქმაში ყამალეკი არის წინასახე ხორცისა, ანუ მთელი დაცემული ძველი კაცისა ერთობლიობაში; ბრძოლა ყამალეკსა და იზრაელს შორის გამოხატავს მორწმუნეებში მიმდინარე ბრძოლას ხორცსა და სულს შორის – გამ. 17:8-16; გალ. 5:16-17:
 - ა) ის, რომ ღმერთი გამუდმებით იბრძვის ყამალეკთან, გვიჩვენებს, რომ ღმერთს სძულს ხორცი და უნდა რომ აღმოფხვრას ის – გამ. 17:16; გალ. 5:17.
 - ბ) ხორცის შეცვლა ან მისი გაუმჯობესება შეუძლებელია, ამიტომ ჩვენ უნდა გვახსოვდეს იმის შესახებ, რომ ხორცი ყოველთვის არის ჩვენთან – რომ. 13:14; გალ. 5:16.
 - გ) ღმერთს სძულს ხორცი ისევე, როგორც მას სძულს სატანა, და მას უნდა, გაანადგუროს ხორცი ისევე, როგორც მას უნდა, რომ გაანადგუროს სატანა – გამ. 17:16; რჯლ. 25:17-19; 1 მეფ. 15:2-3.
 - დ) ჩვენ ვიბრძვით ყამალეკის წინააღმდეგ შუამდგომელი ქრისტესა და მებრძოლი სულის მეშვეობით; მოსე, რომელსაც აღმართული ჰქონდა თავისი ხელი მთის მწვერვალზე, – არის ამაღლებული ქრისტეს წინასახე, რომელიც შუამდგომლობს ზეცაში; იესო ნავეს ძე, რომელიც იბრძოდა ყამალეკის წინააღმდეგ, – არის წინასახე ჩვენში მყოფი სულისა, რომელიც იბრძვის ხორცის წინააღმდეგ – გამ. 17:9, 11, 13; რომ. 8:34; ებრ. 7:25; გალ. 5:17.
 - ე) ყამალეკის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ უფალთან, ვილოცოთ, რომ ვიყოთ ერთი შუამდგომელ ქრისტესთან (რომ. 8:34), და მოვაკვიდინოთ ხორცი, რათა ვიყოთ ერთი მებრძოლ სულთან (ლუკა 18:1; 1 თეს. 5:17; რომ. 8:13; გალ. 5:16-17, 24); ღმერთმა გადაწყვიტა, რომ ხორცის წინააღმდეგ ებრძოლა გამუდმებით, სანამ სრულიად არ აღმოფხვრიდა მოგონებას მასზე ზეცის ქვეშეთიდან (გამ. 17:14).
- ბ. დაბადების 6:8-ში ნათქვამია: „*მაგრამ ნოემ* მოიპოვა კეთილგანწყობა [მადლი] იეჰოვას თვალში“:
 1. ხორცი არის სატანის შედეგრი, და ეს არის „შესაკრებელი დარბაზი“ სატანისათვის, ცოდვისა და სიკვდილისათვის; მადლი არის თვით

- ღმერთი, რომლითაც ჩვენ ვტკბებით და რომელიც გვეხმარება ჩვენ, რომ გავუმკლავდეთ სიტუაციას, დაკავშირებულს ხორცთან.
2. ხორცი არის თვით სატანის თანდასწრება, ხოლო მადლი არის თვით ღმერთის თანდასწრება; იმისათვის, რომ გავუმკლავდეთ სატანის თანდასწრებას, ჩვენ გვჭირდება ღმერთის თანდასწრება.
 3. როდესაც სატანა მთელი ძალით ცდილობდა, რომ მოეყენებინა მაქსიმალური ზიანი, ყოველთვის ჩნდებოდნენ ისინი, ვინც მოიპოვებდა მადლს ღმერთის თვალში, ხდებოდნენ ის ადამიანები, რომლებიც ცვლიდნენ საუკუნეს – შდრ. 1:8; 9:23; 10:11, 19:
 - ა) მადლი არის თვით ღმერთი, ღმერთის თანდასწრება, რომლითაც ჩვენ ვტკბებით და რომელიც არის ყველაფერი ჩვენთვის და აკეთებს ყველაფერს ჩვენში, ჩვენგან და ჩვენ ნაცვლად – იოანე 1:14, 16-17; გამოცხ. 22:21.
 - ბ) ჩვენ ვტკბებით უფალ იესო ქრისტეს მადლით როგორც უხვი შეწევნით სამერთიანი ღმერთისა ჩვენი ადამიანური სულის ვარჯიშის მეშვეობით – ებრ. 10:29ბ; გალ. 6:18; ფილიპ. 4:23; ფილიპ. 25; 2 ტიმ. 4:22.
 - გ) ღმერთის სიტყვა არის მადლის სიტყვა – საქმე. 20:32; კოლ. 3:16; შდრ. იერ. 15:16.
 - დ) ჩვენ განვიცდით გამზადებულ სამერთიან ღმერთს როგორც სიცოცხლის მადლს, ვიკრიბებით წმიდანებთან ერთად ერთობის ნიადაგზე – ფსალ. 133:3; 1 პეტ. 3:7; საქმე. 4:33; 11:23.
 - ე) ჩვენ შეგვიძლია განვიცადოთ უფალი როგორც ჩვენი მადლი, რომელიც უხვდება და არის სრულადსაკმარისი ჩვენს ტანჯვებსა და გამოცდებში – 2 კორ. 12:9.
 - ვ) ჩვენ უნდა ვიმროძოთ უფლისათვის მისი მადლის ძალაში – 1 კორ. 15:10, 58; 3:10, 12ა.
 - ზ) მადლის ძალის, მადლის სიმაგრის და მადლის სიცოცხლის წყალობით ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ მართლები ღმერთთან და ერთმანეთთან მიმართებით; ობიექტურ სამართლიანობას მივყავართ მადლთან, ხოლო მადლი წარმოქმნის სუბიექტურ სამართლიანობას – ებრ. 11:7; რომ. 5:17, 21.
- გ. ღმერთმა მისცა ნოეს ყოვლისმომცველი გამოცხადება, გამოცხადება კიდობნის აშენებაზე, ანუ იმაზე, თუ რა გზით უნდა ღმერთს, რომ ბოლო მოუღოს გახრწნილ თაობას და მოიტანოს ახალი საუკუნე; მისი სამუშაო იყო სამუშაო, რომელმაც შეცვალა საუკუნე – 1 კორ. 2:9; 2 კორ. 6:1; მათე 16:18; 1 კორ. 3:12:
1. კიდობანი არის წინასახე ქრისტესი (1 პეტ. 3:20-21), და ამასთან ერთად არა მარტო ინდივიდუალური ქრისტესი, არამედ ერთობლივი ქრისტესიც, ეკლესიისა, რომელიც არის ქრისტეს სხეული და ახალი კაცი, და რომელიც მოიპოვებს დასრულებას ახალ იერუსალიმში (მათე 16:18; 1 კორ. 12:12; ეფეს. 2:15-16; კოლ. 3:10-11; გამოცხ. 21:2).

2. ავაშენოთ კიდობანი ნიშნავს ავაშენოთ ქრისტე როგორც მაღლი ჩვენს განცდაში ერთობლივი ქრისტეს, ეკლესიის, როგორც ქრისტეს სხეულის ასაშენებლად (1 კორ. 12:12; ეფეს. 4:11-16); ამის მეშვეობით ჩვენ აღვასრულებთ საკუთარ გადარჩენას, რათა გადავრჩეთ ღმერთის სამსჯავროსაგან ამ გახრწნილ და გარყვნილ თაობაზე და ვიყოთ გადაყვანილნი ახალ საუკუნეში, ათასწლეულის საუკუნეში (ფილიპ. 2:12-16; ებრ. 11:7; მათე 24:37-39; ლუკა. 17:26-27).

III. დასრულებული და საბოლოო ნაყოფი ღმერთის მადლისა ღმერთის სახლმშენებლობაში არის ქრისტეს სხეული როგორც ღმერთის პოემა, რომელიც ხდება ახალი იერუსალიმი როგორც დასრულება ღმერთის სამართლიანობისა ახალ ცასა და ახალ მიწაზე; თვით ღმერთის სიმდიდრემ, განკუთვნილმა ჩვენი ტკობისათვის, არ იცის საზღვრები, და ის იქნება გახსნილად გამოვლენილი მარადიულად – ეფეს. 2:7-10; 2 პეტ. 3:13; გამოცხ. 22:21.